ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 3904916

გაცემის თარიღი: 10/04/2018 გაცნობის თარიღი: 12/04/2018

განცხადების ნომერი: AR1589158
შემოსვლის თარიღი: 28/03/2018
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.13.02.004.033.01.501
- მისამართი: ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N104
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 350.3 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "მონა ლიზა" (202362969)

- საკადასტრო კოდი: 01.13.02.004.033.01.504
- მისამართი: ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N104
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 241.7 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "მონა ლიზა" (202362969)

ნომენკლატურა :

- **I კლასი**
- **ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი**
  რეკონსტრუქცია
- **შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი**
  რეკონსტრუქცია

დამკვეთი - განმცხადებელი:

- სალომე ჟორჟოლიანი პ/ნ 01010015005
- მისამართი: თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 6 ბ. 6

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ქუჩა ჩაჩავა, #2-4-6-8-10-12, შპს „მონალიზა"-ს საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე ფანჯრის ღიობების მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

„მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882017261096, 03/04/2017; ს.კ. #01.13.02.004.033.01.507; საკადასტრო გეგმა; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ქუჩა ჩაჩავა, #2-4-6-8-10-12, შპს „მონალიზა"-ს საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე ფანჯრის ღიობების მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.